

# ლიტერატურული

# განცემი

№54 15 - 28 ივლისი 2011

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თათრი

## ჯემალ აჯიაშვილი

### სონები

\*\*\*

ისევ გაურბის მოხუც მამას შვილი უძღები, წავა და თავის უძლებობას თანვე წაიღება! — და დაცლილ ტაძრებს, წალილ ფრეს ეყბს და მოზაიკებს მტკრით დაფარავენ დავიწყების ბნელი წუსხები.

მახსოვს წუხილი აუზყველი, ცრემლი უზღველი, — მზე ციირებმა უჩვეულო წრეში ჩაიძეს და ანგელოსთა სავანეში მომზუსაიფეს დაესო თვალი — გამთვალი და მომზუსხველი.

რას იზამ, სულო, ტკივილებმა, ვიცი, მოგცელეს, მაგრამ გაუძლებ ბედისწერის ამ მიმოქცევებს; უკვე კედელი აქერონის წყალმა დანესტა,

მაინც სულ ფხიზლობს სასოება ღამენათევი და სიყვარულით გავერებულ იორდანესთან კვლავ დალივლივებს ნათლისძების წმინდა ნათელი...

\*\*\*

ნელდება ფერი სიშორეში, ფერი მერთალება, ღრუბელ და ღრუბელ იცრიცება მთვარის თავთავი და დალილ იმედს უთვალთვალებს ღამე ავთვალი — შეუვალი და დამთრგუნველი, როგორც ბრალდება.

თითქოს დასრულდა ნათლიერში ნათლის ანთება, მაგრამ ურჩობს და უჯიათობს ჩვენი მხატვარი და მთვარის შუქი — ნასიცხარი, ნამკათათვარი — კვლავ თავის წიაღს უბრუნდება და მთლიანდება.

ისევ გრძელდება პაექრობა ცის და მნათობის და უქმე დღებს ენაცვლება ჟამი ქმნადობის; როგორ გამშვენებთ, ქმნილებანო, ღმერთის ტოიფარი, —

როცა ხმას უწყობს დირიქორი დაშლილ კლავიშებს და მისი პულტი — მორყეული და უმწიფარი დაკარგულ ბგერებს ანესრიგებს და ითავისებს...

\*\*\*

მღერის გედი და ეთხოვება თავის გედობას, გეყოთ, რაც ქვეყნის უმსაგასობამ ცრემლი გადინათ, მაინც გზას აძლევს მოქმედება უმოქმედობას და მთელ ნაქნარს და ნამოღვანარს გითვლით ბათილად.

შევა კაცი და შეაბიჯებს, ბეჭედში შეტყობავს, ციმციმ აკრეფს და აირეკლავს სხივს და ათინათს, რომ მარტობა დააგინებოს დალილ დედოფალს და საწყალ სატრაფოს მოევლინოს მხსნელ პალადინად.

ღამეს გასერავს სივრცეების ხმა გაფილტრული და ცხელ ფილაქანს დააკვდება ვეფხვის ფიტული; ვერ ეგუება ხელოვნება უსახელობას

და მზე, რომელიც ცისკიდურზე ოქროდ ისახვის, დღით ასაზრდოებს სინამდვილეს — უძღებ ხელოვანს და ხელს აშველებს უნაყოფო ხელსაქმისათვის...

\*\*\*

კვლავ შეგვახსენა შემოდგომამ ქველი სარჩელი და ქარმაც, — რაკი წესად ჰქონდა ფოთლის დაცვენა, — გერძზე გადაღო პაექრობა და დემარშები და გარდასახვის ხელოვნება ისევ გვაჩვენა.

ან კი რა ჰქონდა საჭოჭმანო და გასარჩევი: გვიმრა, ძეჭვი და გაცრეცილი ბაბუაწვერა მინდვრებს მიანდო შესაქცევად, — სხვა დანარჩენი ერთად შეკრა და ჩაილურის წყალში ჩანველა.

როგორ გაგვირბის დრო და უამი, როგორ გვეცლება ფრთონვა და ქროლვა, აღმაფრენა და გაბეზრება; და წყალიც როგორ შეგვაგონებს, რაც წყლის წესა,

და ბავშვიც, ბავშვიც — მდინარესთან როგორ ტატანებს და ერთად იკრებს გულსაკლავი ეს პროცესი შობის და კვდომის მისტერიებს და სულთათანებს...

\*\*\*

ზორებს განდგომოდა მევენახე, ძნებს — მეძნეური, ჭირდა დანურვა საჭაშნიკო დასაჭურის და იდგა სალამი — იდუმალი, ქვეშეცნეული და ჭირკის თვალი დასცეროდა დახშულ ჭურისთავს.

ყარდა ხორაგი — აქ პური და იქ თევზეული, და დრო, რომელიც ნაადრევად დასაჭურისდა, ძველ ნასაყდრალთან მომდგარიყო, როგორც სწეული და შიშველ კედლებს შერჩენდა დაღლილ ტურისტად.

წყალს წაელეკა არემარე — და მკვდარ ბორანთან ხრჩოლავდა კვამლი, მოდიოდა და მობრლავდა; ხოლო გადაღმა — მოზურმუტე ჩქერში, მდელოში

ჩქეფდა სხივი და — გაზაფხულის სხევა სამისინდან — გადმოჰყურებდა წუთისოფელს ყრმა ანგელოსი და შორისახლო სალამურის ხმები ისმოდა...

### გუსატავ დორე: მოსე

„პირი იბრუნა მოსემ და ჩამოვიდა მთიდან. ხელში ორი ფირალი ეჭირა..“. ბიბლია

ლმერთო, ჩამსახე, ჩამანელე, ისევ ჩამსახე, შუქში ჩაფინე ჩასალტობად ცისკრის ტოპაზი და მოეც სულთა სიწრფოება და სიჯანსალე ზეცის და მინის გამუდმებულ ამ განდობაში.

ცეცხლში გამოწვი ჩემი ხალხი, და გამოჩალხე ერად, რომელსაც სრულად მოსრავ, სრულად მობალთავ, რომ მერე — ისევ მობრებე, ისევ მოჯანყე — მკვდრეთით აღდგეს და აღიმართოს შენს კიდობანთან.

ჩქამს გაიღებენ სიშორეში წყალნი ზღვისანი და სულ სხვა რწმენით მობრუნდება დრო ნასხვისარი; სიცხე კი მაინც დაბუღრაობს, — რა გვესიცხება, —

ცა გააბეზრა უნდობლობის გრძელმა ასაკმა, ღრუბლებს მოპობას სჯულმდებელი, — უკვე იწყება ურჯუკი მოდგმის დაურვება და გარდასახვა..

IV-V



## ეკატერინე ტოგონიძე

### მარვანიდან

### მარცხი

II-III

## რუსა ამირეჯიბი

### გუზა

VI-VII

## ეკა ქევანიშვილი

### მეგობრობის

### იავანა

VIII

## როსტომ ჩხეიძე

### მარგინალობიდან

### ავანსცენაზე

IX

## თამარ გაბროშვილი

### სიყვარულის

### იეროგლიფები

X-XI

## ინტერვიუ

### ნიკა

### პორვანელთან

XII

## ინტერვიუ

### დავით

### საყვარელიძესთან

XIII

## ალბერ კამიუ

### გაულლება

### ტიპასაში

XIV-XV













## შეგორძლების იავანა

სძინავთ ჩემებს.  
გული მიგრძნობს, უკვე ჩაბუდდნენ.  
მშვიდ ცხოვრებებში,  
რბილ ქვეშაგებში ჩაგორებულ მეგობრებს სძინავთ.  
ერთმანეთზე მიხურტებულებს,  
მთელი დღის ნაგავჩამორეცხილებს  
დაუხუჭავთ უკვე თვალები.

გვიანია. სხვანაირად არც შეიძლება.  
ვინც იჯინილებს, დაბერდება.  
თვალის გარშემო გაუჩნდება დილით წყვდიადი.  
ვისთანაც ომი ისევ გრძელდება,  
მას დაძინება არ უწერია.

სამწუხაროდ, ძალიან მიყვარს,  
ყოველ ღამით გადავამომზო,  
ხომ არაფერი არეულა.  
სიჩუმე, ჩემთან — დამქანცველი,  
შევებურად თუ განსხვავდება  
სიჩუმსაგან, რომელიც დადგა მათ სახლებში  
დაძინების წინაპირობად.  
ხომ უფრო მეტი ფული დარჩათ, დახარჯვის მერეც,  
ხომ განსხვავდება მათი დარდი ჩემი დარდისგან,  
შემთხვევით, მათაც ხომ არ გაზომეს  
სახურავიდან ფრენა მინამდე?

მშვიდად იძინეთ, მეგობრებო.  
მშვიდად იძინეთ,  
სისხლისმსმელებო,  
ხშირად სისხლის გადამსხმელებო.  
თქვენც რომ ჩემსავით ცალი ფეხით იდგეთ მიწაზე,  
გასაბერ ბუშტზე ჩაჭიდებული ხელებით კი  
მიჰქოდეთ ცისკენ,  
სულაც არ მინდა.

თქვენც რომ ასე,  
რას მოვეჭიდო?

## ძარის გზავნილი, იავარი

ეს რიტუალი მხოლოდ მაშინ ჭრის,  
და მითუმეტეს, უფრო გამომდის, როცა შენ გძინავს,  
როცა ორმოც წელს ტანში იტენი  
(დაკეცილ ქოლგას — შალითაში),  
ნაოჭები ფრთხილად ალაგბდ (ფურცლებს. ფაილებს),  
აწყობ თმაში მოთეთრო ხაზებს,  
იწვეთებ თვალში (დალლას ნანახით),  
წვები, მიდიხარ.

ეს საჭირო პირობაა — ხიდზე პირიკით გადადიოდე,  
ოღონდ, სიზარში, როდესაც ქარს გამოვიდახებ.  
ქარი მაშინ დამიმეგობრდა,  
რვაბალიანმა მინისძრამ  
ერთ დღეს სკოლა როდესაც შეაზარხარა.  
ქარი, ჩემი თანამზრასხელი,  
ჩრდილოეთის მხრიდან ცას ფატრავს და  
მორჩილად დგება ფანჯრის წინ.  
გამოვიდახე ვითომ ეტლი  
ან ფანჯარასთან შეკევთილი დადგა მარხილი.

ახლა ქარი მომებმარება.  
გაფენო სარცხს. დავახარისხებთ  
პირსახოცებს, რომლითაც ტანი გავინმინდეთ,  
საცვლებს, რაც გვეცვა, შარვლებს, მაიკებს.  
საწოლი, სკამი, იატაკი, მაგიდა, ჭაღი —  
აღარ დარჩა ერთი ადგილიც,  
სადაც გახდილი ტანსაცმელი ერთად მოგროვდა.  
გატან, წაიღე  
ეს თოკები სველი სარეცხით.

ათასი ქუჩის მოშორებით,  
ათასი სახლის გვერდის ავლით,  
სხვების სიზმრებს, ოჯახურ დრამებს გადაატარე,  
და იმ ფანჯრის წინ, რომელშიც მოსჩანს მისი ძილი  
(მშვიდი, როგორც ეს ზამთრის ღამე), პარში  
ყინვისაგან მკვდარი ტანსაცმელი ფრთხილად დაკიდე.  
ჯადოს ძალა დილამდეა.  
თბილი სუნქვით სანამ ჩამოხსნი.

## ყველაზ

გეცნობი? მე ვარ,  
ისაფერი პომადიო და ჭრელი გეტრებით,  
დროებითი სვირინგებით მაჯებზე, ყელთან,  
გახვრეტილი ტუჩით და ცხვირით.  
ირონიულად მომლიმარი გოგო — ეს მე ვარ.  
რომელიდაც ქუჩის კუთხეში



გახედავ უკან — იწვის ხიდები,  
და ზუსტად იცი,  
სხვის მფეთქავ გულებს — გაქცევამდე  
ფეხი ზუსტად იმ დროს დაადგი,  
როცა შენი ფანგბის ჯარმა თავი გვერდზე მიატრიალა,  
ანუ განგებ,  
ანუ გათვალე.

შემდეგი წასვლა იქნება მშვიდი.

სხლუხლებლად დატოვებ გაშლილ წიგნს მაგიდაზე,  
დაუდევრად მიყრილ-მოყრილ ხელნაწერებს,  
სარკის წინ გამოფენილ სუნამოს ბოთლებს,  
უხმოდ ჩაუვლი.  
და ისე, რომ კარის ჩხაკუნით არ გააღვიძო  
და ისე, რომ ვერ შეამჩნიონ,  
ფანჯარას აღებ,  
აღებ ჯოჯოხეთს.

და თუ მოგინდა,  
თუ მოასწარი — ჰაერს მიაწერ:  
რა დამრჩენია სამოთხეში,  
იქ მე მაინც არავის ვიცნობ.

## გადარჩენის ლოცვა (მინისა და ცისთვის)

ერთ ზამთარს კი  
მამაჩემმა გადააცალა მინას თოვლი და დაიწყო ბარვა.  
თქეს, გრუა. ვინ აღვიძებს მინას ზამთარში.  
მამაჩემმა კი

ჯერ ჩემს გარშემო ამოყარა სველი ბელტები,  
მერე გამცდა და საღამომდე მინა აბრუნა —  
უკეთესი მოსაგალი უნდა მიგველო.  
როცა უკან მოიხედა, ისევ თოვდა.  
მინა ყლაპავდა,  
უხმოდ იფენდა ფიფქს ნაპრალებში —

დარტყმულ ბარზე  
საყვედური არ დასცდენია.  
დუმდა, როგორც ასი წლის მიცვალებული,  
მისი ძვლებისგან ძველი საფლავი როცა დაცალეს.

ორივეჯერ ჩავდახე მინას,  
გვაპატიე, მეტს აღარ ვიზამთ.

ერთ რომელიდაც გაზაფხულზე,  
ძალიან დიდ გემს პატარა ზღვაში მუცელი მოსწყდა.  
და ნავთობის ბლანტი ფენა — სისხლი დაღვარა.  
თითქოს ცხიმი გაცივდა წყალზე, ისე გაჩერდა.  
უსიამოები სიჩუმე დადგა.  
დამესიზმრა, ყველა თევზი წყლის ზედაპირზე  
თეთრი მუცლით ამოტრიალდა.  
ჩაძირული განძი დაჟანგდა.

მაშინაც, წყალთან დავდექი და ჩავდახე მინას,  
გვაპატიე, მეტს აღარ ვიზამთ.

ერთხელ, ჰაერში დავინახეთ კვამლის სოკი,  
ცას შეუერთდა და მერე გაქრა.  
ეს კადრი დარჩა,  
მაგრამ ქვეყანა, რომლის თავზეც  
ამოზარდა უცებ სივდილი, წლებით გაშეშდა.  
და დიდი ხანი თევზის და ბრინჯის ჰერნია მომნარო გემო,  
და დიდი ხანი ფოტოებში არ გაუცინიათ.

ამჯერად მაღალ ტრიბუნაზე ავბობლიდით და  
ცას ავძახეთ: გვაპატიე, მეტს აღარ ვიზამთ.

ვერც ერთმა ვეღარ გაიგონა  
აფეთქებისგან —  
ცა დაბნელდა და მინა დაყრუვდა.

















